# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 9 თებერვალი 2008 №028 (3252) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თუნდ ყინული, ტალახი და მეტოქეც მედიდური

# აბა, მოვიდა საქართველო!



## ანთიმოზ იბერიელის თასი უნდა დავიტოვოთ!

ტიმ ლეინ, მოვიდა რუმინელთა დამარცხების დრო.

მაგათ ბევრჯერ მოუგიათ ჩვენთვის, თბილისში. ჩვენ ორჯერ დაგვიმარცხებია ისინი თავიანთ ქვეყანაში.

მძიმე ბრძოლები იყო, რუმინელებს მიაჩნიათ, რომ მაინც ჩვენზე მაგრები არიან და ყოველთვის ასე იქნება.

ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ წინ მივდივართ და რუმინეთი ვერ უნდა გადაგველობოს. მინდორი ყინვიანია, მძიმე და უვარგისი. მაგრამ იოლი კი რა არის? საქართველოს უნდა უკანმოუხედავი სიარული, თუნდ ყინული იყოს, თუნდ ტალახი და მეტოქეც ძლიერი, გამოცდილი და მედიდური.

მოვიდა რუმინეთის დამარცხების დრო. მოვიდა საქართველო!!!

# რაღაც ისე ვერ არის!

## ფეხბურთის ფედერაციაში პრობლემას ადასტურებენ





# რაღაც ისე ვერ არის!
## ფეხბურთის ფედერაციაში პრობლემას ადასტურებენ



საქართველოს ნაკრებში რაღაც რომ ხდება, ამას ალბათ უბრალო ქომაგიც ხვდება. დიახ, ჩვენც ვფიქრობთ, რომ ხდება და თანაც ამ ყველაფერს ძალიან სერიოზული სახე უნდა ჰქონდეს. ფაქტებსა და კონკრეტულ მაგალითებზე ვერაფერს გეტყვით, არ ვიცით და იმიტომ... თუმცა როცა ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი უჩა უგულავაც თითქმის იგივეს ამბობს, რასაც ბევრი ვარაუდობს, უკვე საყურადღებო და დასაფიქრებელი ამბავია

## ახალკაცი და ტოპმიოლერი კანცელარიაში იყვნენ

— საქართველოს ნაკრებში მართლაც არც თუ სასურველი ვითარებაა: იგრძნობა, რომ გუნდში რაღაც ხდება. ფეხბურთელებს ნაკრებში თამაშისას თითქოს მოტივაცია აკლიათ, ისინი ვერ იქმნიან ისეთ განწყობას, როგორიც ყოველი მატჩის წინ უნდა ჰქონდეთ, თითქოს დაძაბულები არიან, თითქოს რაღაც აბრკოლებთ... მოკლედ, ლატვიასთან მატჩი ბევრმა ნახა და დაინახავდნენ, მოედანზე რაც ხდებოდა.

— რა ხდებოდა?

— მოდი, ნუ დავკონკრეტდებით. საქართველოს ნაკრებს უახლოესი მატჩი ჩრდილოეთ ირლანდიასთან აქვს და როცა გუნდი ამ თამაშისთვის შეიკრიბება, საერთო კრება გვექნება, გასარკვევიც მაშინ გაირკვევა, ვისაც რისი თქმა სურს, უნდა თქვას, დამალული არ ივარგებს. აქვე ვიტყვი, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელთან კონტრაქტის გაგრძელება ჩვენი ნაკრების განვითარებისთვის ალბათ უფრო უპრიანი იქნება, ვიდრე მისი გაშვება. დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ და შუა გზაში არ დავტოვოთ...

უჩა უგულავას გუშინ შუადღეს ვესაუბრეთ. მერე კი ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს, ნაკრების მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერსა და მის თანაშემწე რალფ მინგეს სახელმწიფო კანცელარიაში შეხვედრები ჰქონდათ. შეხვედრის დეტალები ჯერჯერობით უცნობია...

# ხიზანიშვილის თემა დაიხურა



**მოსახდენი** მოხდა: ლატვიასთან მატჩისწინა შეკრებაზე საქართველოს ნაკრების რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი კლაუს ტოპმიოლერს შეხვდა და ზურაბ ხიზანიშვილის საკითხზე ელაპარაკა.

ზუსტად ვერ გეტყვით, კიდევ ვინ ესწრებოდა ამ შეხვედრას, თუმცა როგორც შევიტყვეთ, მწვრთნელ-ფეხბურთელებთან ერთად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობაც იყო საქმეში ჩართული.

და მთავარი: ხიზანიშვილის თემა, ფაქტობრივად, ამოწურულია. ტოპმიოლერი ინგლისური „ბლექბერნის“ მცველს უახლოეს შეკრებაზე გამოიძახებს და პრობლემაც იმ შეკრებაზევე მოგვარდება.

**ბაჩა შალამბერიძე**

# დინამომ უჰრინს ნაკლი აჩვენა

**თბილისის** „დინამო“ თურქეთის მეორე შეკრებიდან დღეს ჩამოვა, გუშინ კი ჩვენებმა ერთი ამხანაგური მატჩიც ითამაშეს — მეტოქე უკრაინული „ნეფტიანიკი“ იყო, ანგარიში 1:3.

„დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ოვონო, შ. კაშია (თომაშვილი 46), გ. კაშია, კრშკო, დობეში (გველესიანი 63), ქანთარია (ვაწაძე 56), ხმალაძე, ნერგაძე (ფირცხალავა 80), გ. მერებაშვილი, მ. ხუციშვილი, აკირემი.*

ტრავმირებულ ნედ ზელიჩსა და დავით ოდიკაძეს „ნეფტიანიკთან“ მატჩამდე ილია სპასოევიჩი და დავით დიღმელაშვილი დაემატნენ, შოთა გრიგალაშვილი კი საქართველოს ნაკრებში იყო გამოძახებული და რაკი გუნდი თბილისში დღეს ჩამოვა, ის ანთალიაში აღარ დაბრუნებულა.

გუშინდელ მატჩში უკრაინელები სამბურთიანი უპირატესობით დაწინაურდნენ, ერთადერთი საპასუხო გოლი კი ლევან ხმალაძემ 73-ე წუთზე გაიტანა.

— „დინამოს“ როგორც თურქეთში პირველი შეკრებისას, ახლაც ყველანაირი პირობები ჰქონდა ჩემპიონატის მეორე წრისთვის მოსამზადებლად. ამხანაგური შეხვედრებისას კარგად გამოჩნდა ჩვენი ნაკლი და ის, რაზეც მომავალში გვმართებს მეტი მუშაობა. თუმცა იმედი მაქვს, ჩემპიონატში და თასზე „დინამო“ მხოლოდ იმ შედეგს აჩვენებს, რომელიც დაგვაკმაყოფილებს — განაცხადა თბილისელთა თავკაცმა დუშან უჰრინმა.

ანთალიიდან დაბრუნებული „დინამო“ ხვალ დაისვენებს, ორშაბათიდან კი მზადებს დიღმის საწვრთნელ ბაზაზე განაახლებს.

**ლუკა თალაკვაძე**

# სომხური ბილიკი
## დარასელია, ბობოხიძე და ალექსიძე მიკაში ისინჯებიან

**ყაზახეთსა** და აზერბაიჯანში ქართველ ფეხბურთელებს გული რომ მიუწევდათ, კარგა ხანია, ვიცით. ახლა კი გაღინება სომხეთშიც იწყება. სომხეთში ქართველებს აქა-იქ კი უთამაშიათ, მაგრამ ერთშაბად ოთხი ფეხბურთელის წასვლას ვერ ვიხსენებთ.

უკვე გადაწყვეტილია, რომ „ბორჯომის“ ყოფილი მცველი ლევან აკობია იქაურ „ულისესში“ ითამაშებს.

აკობია „ბორჯომში“ თბილისის „დინამოდან“ განათხოვრებით თამაშობდა. პირველი წრის შემდეგ თავისუფალი აგენტი იყო და „ულისესთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ასევე ექსდინამოელები, ვიტალი დარასელია, მიხეილ ბობოხიძე და რატი ალექსიძე კი „მიკაში“ არიან გასინჯვაზე. დარჩებიან თუ არა ისინი გუნდში, დრო გვიჩვენებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ყენია და თარგამაძე ბუნდესლიგას იწყებენ

**ხვალ** გერმანიაში 19-წლამდელთა ბუნდესლიგის მეორე წრე განახლდება და ჩვენთვის ეს რამდენად საინტერესოა, გეცოდინებათ: გელზენკირხენის „შალკეში“ ლევან ყენია, „ფრაიბურგში“ კი დავით თარგამაძე თამაშობს. ეგაა, ეს ორი გუნდი სხვადასხვა ზონაშია და ერთმანეთს არ შეხვდებიან. „ხუმარათა“ 19-წლამდელები თავიანთ ზონაში მეოთხე ადგილზე არიან, „ფრაი“ კი — მეორეზე.

ყენიას გუნდი „ლევერკუზენის“ თანატოლებს ხვდება და ჩვენიანიც ითამაშებს. შალკელთა მწვრთნელი ნორბერტ ელგერტი კი ამბობს: „ახლა ჩვენ სხვა გუნდი გვყავს. U-17-დან დავიმატეთ პრედრაგ სტეფანოვიჩი და გვყავს საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი ლევან ყენია. ეს ორი მოთამაშე კი დიდი ძალაა“.

მოკლედ, ხვალ ლევანის ოფიციალურ დებიუტს ველით „შალკეს“ 19-წლამდელებში.

**ილია ნანობაშვილი**

geo_geo_fan@hotmail.com

# ფეხბურთი კი არა, რაგბი!

**GIO8t** გამარჯობა „სარბიელს“ და მის მკითხველს. შეიძლება, აღარ დაბეჭდოთ, მაგრამ მაინც დავწერ.

ერთ-ერთ წინა ნომერში პაპუნა კედიას კოსმოპოლიტური მიმოხილვა წავიკითხე, ვითომ თუთაშხია რომ იძახის, თქვენ ის ხალხი ხართ, ფარერებს რომ ესვრითო. ბევრი ვიცინე, რომ წავიკითხე და ვიფიქრე, ლატვიას ვესვრით-მეთქი, მაგრამ აქეთ გვესროლეს და თან სამჯერ. მართლა მარტო ფარერების მომგებნი ვყოფილვართ.

წინა შესარჩევში ტოპმიოლერს ვიცავდი, ვაცადოთ-მეთქი, ახლა იგივე რომ ვთქვა, ენა არ მომიბრუნდება, ვერ დავინახე, მაგ თამაშში მწვრთნელის ხელი, რა გახდა 18 ფეხბურთელის შეკრება და ყველა შეცვლის გამოყენება, თამაშის დროს ფეხბურთელების გადანაწილება და ტაქტიკების მოსინჯვა, რაღაც კორექტირების შეტანა თამაშის დროს, მაგალითად, ასათიანის წინ აწევა და სხვა ფეხბურთელის ნახვა დაცვაში და კიდევ სხვა რამე.

მე მწვრთნელი არ ვარ ყველა ნიუანსი რომ მოვიფიქრო, ეს ტოპის საფიქრალია და მრჩება შთაბეჭდილება, რომ რაღაცნაირად ზერელედ ეკიდება საქმეს.

მაშ, რისთვისაა ამხანაგური მატჩი? ჩამოვა, დააყენებს შემადგენლობას, ერთხელ აუხსნის რაღაცას, მერე წააგებს, ბოდიშს მოიხდის ან იტყვის, პროგრესი აშკარა არისო და 5-6 დღეში გაბრუნდება გერმანიაში, მერე ჩამოვა თამაშამდე ორი დღით ადრე და მეორდება იგივე. ვფიქრობ, რომ რა ხალფასსაც იღებს, იმის ნახევარსაც არ მუშაობს. მარტო ფეხბურთელებზე გაბრაზებაც არ შეიძლება, რაც იციან, იმას თამაშობენ და რატომღაც მგონია, ფორმაში რომ შევლენ, უფრო კარგ ფეხბურთს ითამაშებენ, იქნებ ტოპიც შეურიგდეს გამოცდილ ფეხბურთელებს, იქნებ უფრო მეტი დრო გაატაროს საქართველოში და გამოსავლის ძებნაში ათენოს ღამეები ფედერაციასთან და თავის გუნდთან ერთად, თორემ ასე მართლაც არაფერი გამოვა და ერთი ადგილის ტკეპნა გამოგვივა. თუ ეს გვინდა, ამისთვის მილიონების ყრა სისულელეა და მეტი არაფერი.

რაც უცხოელ მწვრთნელებსა და ფეხბურთში იხარჯება, იმის ნახევარი რაგბიში რომ დახარჯონ, ჯერ ხომ ბრძღვნიან ყველაფერს და მერე, საერთოდ, გადაჭამენ მსოფლიოს. ახლა პორტუგალიასთანაც ფეხბურთელებივით გადახალისებული და ახალგაზრდა მორაგბეები იყვნენ, მაგრამ მაინც გადაუარეს მეტოქეს, შანსი არ დაუტოვეს და თუ წააგებენ, ისე არ წააგებენ, როგორც ფეხბურთელები აგებენ.

გავავსოთ სტადიონი რუმინეთთან!

**TELAVELI**: აღარ ვიცი, რა შეიძლება ითქვას ჩვენს ნაკრებზე. ვის მოვთხოვო პასუხი, ასე რომ მანერვიულებენ და მაგიჟებენ. რა არის, მართლა, ნამუსი აღარ აქვთ?

ბევრჯერ დავიფიცე, რომ ამათ თამაშს აღარ ვუყურებდი, მაგრამ გული ვერ მითმენს და 6-შიც თელავიდან ჩამოვედი მაგათ საყურებლად. ხალხო, ცოდოები ვართ ამათი შემყურე, ნაღდად რაა.

გული მტკივა ძალიან. ტოპმიოლერი რაღა ჯანდაბად გვიხდა, ყველა თამაშს თუ წავაგებთ. მოკლედ, თუ მოხდა სასწაული და გავედით მსოფლიოს ჩემპიონატზე, ხომ კარგი, თუ არა და, მე ამათ საქომაგოდ აღარ წავალ. ხატზე დავიფიცებ.

მორაგბეებს გავყვები ყველგან, ესენი კი ჩემგან შორს!

geo_geo_fan@hotmail.com

# ლატვიამ მჭედლიძეს დებიუტი გადაუდო?

**ლატვიასთან** მატჩში დაშავებული ლევან მჭედლიძე იტალიურ „ემპოლის“ დაუბრუნდა, თუმცა ტკივილი ისევ აწუხებს.

17 წლის თავდამსხმელს ლატვიელმა ფეხი ნაოპერაციებ ადგილზე მიარტყა და ლევანმაც ამიტომ ითხოვა შეცვლა.

არადა, მჭედლიძეს კვირას „ლაციოსთან“ უნდა ეთამაშა, რაც მისი დებიუტი იქნებოდა სერია A-ში.

ახლა ამის შანსი ძალიან მცირეა — სასწაული უნდა მოხდეს, მჭედლიძემ კვირამდე მომჯობინება მოასწროს.

**ბაჩა შალამბერიძე**



# დავით სირაძე: ნაკრებში დაჯგუფებები არ დაიჯეროთ

რა უნდა გაგვკვირვებოდა 6 თებერვლის საღამოს, როცა საქართველოს ნაკრებს პირველი ტაიმი 0:3-ზე მეტითაც წაუგია, საწყის 15 წუთში ორი გოლიც გაუშვია და ისეც ყოფილა, მთელი თამაშის მანძილზე კარში არ დაურტყამს — ანუ, ლატვიასთან საქართველოს ანტირეკორდი არ მოუხსნია. მაგრამ კმაყოფილები ვიყავით?! საერთოდ, ზრდილი და თავმოყვარე ადამიანი ცუდი საქციელის (ამ შემთხვევაში თამაშის) გამო ბოდიშს იხდის. და გუშინ დავით სირაძეს რომ დავუკავშირდით, პირველ რიგში ეს გააკეთა. რა თქმა უნდა, გერმანული „პადერბორნის" თავდამსხმელთან მხოლოდ „ბოდიშზე" და ფამილარობაზე არ გვილაპარაკია — იმ პრობლემებზე ვთქვით, რომელიც გულშემატკივრებს აინტერესებთ...




— ქართველი გულშემატკივარი გაცილებით მეტს იმსახურებს, ამიტომაც, ყველას მინდა, მოვუბოდიშო! ასეთი თამაში არ გვეკადრებოდა. არ მინდა დავიწყო, ხან წააგებ, ხან მოიგებ და ასეთებზე ლაპარაკი, რადგან ვიცი, ეს ყველას მოსწყინდა. ჩვენც მოგვწყინდა და მერწმუნეთ, ჩვენზე ძალიან არავინ განიცდის ლატვიასთან მარცხს.

— და რა იყო ამის მიზეზები?

— თავის გამართლებასავით გამომივა, მაგრამ ჯერ ერთი, სრული შემადგენლობით არ ვიყავით, მეორეც, საშინელი მინდორი იყო. თუმცა ასეთი შეთხელებული შემადგენლობით ადრეც უთამაშია ნაკრებს და ლატვიის დონის ნაკრებთან მოუგია, მინდორიც მარტო ჩვენთვის არ იყო ცუდი... მოკლედ, წავაგეთ.

— ამხანაგური თამაში იყო და ამის გამო მოტივაციის ნაკლებობის მომენტი ხომ არ იგრძნობოდა?

— შეიძლება, ამანაც იმოქმედა. ისე კი, მაინც მინდორს მივუბრუნდები — თამაშის დილას ეროვნულ სტადიონზე რომ მივედით, საშინელი სურათი დაგვხვდა. ყინული იდო. ფაქტობრივად, ვერც ვივარჯიშეთ, იმ დღეს უნდა გადაწყვეტილიყო, საერთოდ ჩატარდებოდა თუ არა „ეროვნულზე" მატჩი. მსაჯებმა და ლატვიელებმა მოინდომეს — უნდა ვითამაშოთო.

— ერთი თამაშის ჩაგდება გასაგებია, მაგრამ ნაკრებს ძალიან ხშირად აქვს ასეთი მატჩები — მათ შორის, კარგ მინდორზეც...

— ვფიქრობ, ლატვიასთან თამაშით არ უნდა შეფასდეს ნაკრების რეალური ძალა. წინ კიდევ ბევრი ამხანაგურია, მერე შესარჩევიც დაიწყება და ნამდვილად მაქვს იმედი, რომ ეს მატჩი ხალხს დაავიწყდება.

— გავანებოთ თავი მხოლოდ შედეგს — თამაშის ხარისხით თუ ხედავ სასიკეთო ძვრებს კლაუს ტოპმიოლერის ხელში?

— ჩემი აზრით, კარგი მწვრთნელი გვყავს. ტოპმიოლერი ცდილობს, დახვეწოს გუნდის თამაში და სასიკეთოც შეიმჩნევა. ალბათ, უკეთესი იქნება, მეტი ყურადღება დაუთმოს შეტევას. თითქოს სითამამე გვაკლია, არადა, შეტევაში უფრო მეტი შეგვიძლია.

— არ გვეგონა, ლატვიასთან 90 წუთი თუ ითამაშებდი. რაც უნდა იყოს, ბოლომდე მომჯობინებული არ იყავი, „პადერბორნის" მწვრთნელმა ამის გამო კვირას დაგასვენა კიდეც...

— რომ ვთქვა, ჯანზე არ ვიყავი ლატვიასთან-მეთქი, ტყუილი გამომივა. რადგან სრულად ვითამაშე, ესე იგი, შემეძლო კიდეც. ნაკრებში თავი არასოდეს დამიზოგავს, მაგრამ ხან გამომდის თამაში, ხან — ვერა. ეს უკვე სხვამ შეაფასოს.

— შტატიანი პენალტისტი არასოდეს ყოფილხარ. რატომ დაარტყი ლატვიასთან?

— ასე მოხდა... პენალტი ჩემი წაქცევისთვის დაინიშნა, ბურთი ავიღე და არავინ არ შემეწინააღმდეგებია. ჩემგან მარჯვენა კუთხეში მქონდა ჩაფიქრებული დარტყმა, მაგრამ რას ვიზამ... ავაცილე.

— ნაკრების წარუმატებლობის მიზეზებზე ვისაუბრეთ და დაგვეთანხმები, ძალიან ბევრს ნიშნავს გუნდური ატმოსფერო. რა მდგომარეობაა ამ მხრივ — ნაკრები გასახდელში ერთიანი გუნდია?

— ეს გამორიცხეთ! დაჯგუფებები ჩვენთან არ არის! ბაზაზეც და გასახდელშიც ერთმანეთის მეგობრები ვართ. პირადად მე, ვინც მიცნობს, ყველამ იცის, რომ უკონფლიქტო და წყნარი ადამიანი ვარ. ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს.

— არც ზურაბ ხიზანიშვილთან დაკავშირებულ გაუგებრობას უმოქმედია ატმოსფეროზე?

— არაფერი შემიტყვია. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მინდა, ხიზანიშვილიც დაბრუნდეს ნაკრებში, ალექსანდრე იაშვილიც და საერთოდ, ნაკრებში საუკეთესოები იყვნენ.

— საკლუბო თემაზეც ვთქვათ. მომდევნო ტურში „პადერბორნში" ითამაშებ?

— ალბათ, კი. მალე გერმანიაში ვიქნები, სრული დატვირთვით ვივარჯიშებ გუნდთან ერთად და იმედია, „ფრაიბურგთან" ვითამაშებ.

— დიდი შანსია, „პადერბორნი" მეორე ბუნდესლიგიდან გავარდეს. სხვა გუნდში გადასვლის ვარიანტებზე რას იტყვი?

— პირადად არავინ შემხმიანებია. ისე კი, ძნელია სულ ისეთ გუნდში ყოფნა, სადაც არგავარდნისთვის უნდა იბრძოლო. გერმანიაში ასე დამებედა — მხოლოდ აუე იყო ისეთი, რომელსაც გავარდნა არ ემუქრებოდა და მეც კარგად ვთამაშობდი. ერთი ეგ ვიცი, რომ „პადერბორნში" დიდხანს არ დავრჩები.

— ითქვა, რუსულ „ხიმკის" უნდა სირაძის შეძენაო...

— ეგ ყურმოკვრით გავიგე, მაგრამ პირადად არავინ დამლაპარაკებია.

**ილია ნანოგაშვილი**

# ნუკრი რევიშვილი: პირველი და მესამე ჩემზეა

## ოთხშაბათი ლატვიის დღე იყო



ნუკრი რევიშვილი ერთწლიანი შესვენების შემდეგ ჩადგა საქართველოს ნაკრების კარში და მტრისას, ისეთი ხელმეორე დებიუტი გამოუვიდა — ყაზანის „რუბინის" 20 წლის მეკარე ლატვიელებმა სამჯერ „დაცხრილეს".

მოკლედ, ოთხშაბათის მატჩში ნუკრი ისეთივე იყო, როგორიც მთლიანად საქართველოს ეროვნული ნაკრები — უმწეო!

ასე რომ, მხოლოდ რევიშვილის გამო წააგო ნაკრებმაო, ვერავინ იტყვის...

„პირველი და მესამე გოლი ჩემი შეცდომით გავიდა — უნდა ამეღო. სუსტად ვიყავი, მაგრამ ამის ბრალი კარგა ხნის უთამაშებლობაა. რამდენი ხანია, კარში არ ვმდგარვარ. რაღაცნაირად თავდაჯერებულობა მაკლდა" — გვითხრა რევიშვილმა, რომელსაც გუშინ დავუკავშირდით.

ცუდი მოედანი, საწყის წუთებში გაშვებული გოლები — საკმარისია ეს მიზეზები?

არადა, ქართველი ფეხბურთელები ხშირად იმართლებენ თავს ამ ფაქტორებით...

„ლატვია ნამდვილად არ არის ჩვენზე ძლიერი გუნდი. ოთხშაბათს იმათი დღე იყო, ყველაფერი მათთვის აეწყო" — ესეც ნუკრის სიტყვებია, მაგრამ რამდენჯერ მოგვისმენია იგივე მასზე ბევრად გამოცდილი ფეხბურთელებისგან, ველარც ვითვლით.

არა, საინტერესოა, ლიტვა ჩამოვა — გიგებს, ლატვია ჩამოვა — გიგებს, ჩვენ კი მაინც ვიძახით, რომ უკეთესები ვართ. კი ბატონო, ვართ და ვიყოთ...

...მაგრამ რევიშვილი იმასაც კარგად ხედავს, რომ საქართველოს ნაკრებში წინსვლა არ არის.

„ჯერ რომელ წინსვლაზეა ლაპარაკი... კი, კარგია, ახალგაზრდები რომ გამოჩნდნენ ნაკრებში, მაგრამ შედეგი არ ჩანს. როცა შედეგი იქნება, მაშინ იქნება წინსვლაც".

ნუკრის კლაუს ტოპმიოლერის მატჩისშემდგომ განწყობაზეც ვკითხეთ. განწყობა რა, ისედაც გასაგებია, როგორ ხასიათზე იქნებოდა ნაკრების თავკაცი, მაგრამ...

„ტოპმიოლერმა მადლობა გადაგვიხადა მეორე ტაიმისთვის. ისე კი, ეტყობოდა, რომ ძალიან გაბრაზებული იყო. ბევრი არ ულაპარაკია".

ისე, „რკინის ლოგიკაა" — მეორე ტაიმი ხომ მართლაც მოვიგეთ.

რევიშვილს საკლუბო ამბებზეც ვკითხეთ. ამჯერად „რუბინში" სამი მეკარეა და ისეთი გამოკვეთილი პირველი ნომერი აღარავინაა, როგორიც შარშან-შარშანწინ ლატვიელი ალექსანდრ კოლინკო გახლდათ...

„მე, რიჟიკოვი და კოზკო ვართ „რუბინის" მეკარეები. მწვრთნელს ვესაუბრე და ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. ვარჯიშებზე რამდენად კარგად ვიქნები, აქედან გამომდინარე მოვხვდები ძირითადში. 16 თებერვლამდე კი საქართველოში ვარ, „რუბინს" შეკრება დაუმთავრდა და ვისვენებთ.

**ილია ნანოგაშვილი**

# ზესტაფონმა ჯადო ვერა და ვერ აიხსნა


ბადრი ქეთილაძის ფოტო

თემურ მახარაძე

**მოჯადოებულიაო,** „ზესტაფონზე“ ითქმის. იმერლებს ბოლო ნაბიჯი აკლდათ ტიტულის მოსაპოვებლად — ზედიზედ სამჯერ საქართველოს თასის ფინალში დამარცხებულებმა გუშინ თურქეთში „ბელეკის თასის“ ფინალიც წააგეს.

უნგრულ „ჰონვედთან“ გამართულ მატჩში უპირატესობა არც ერთი გუნდის მხარეს არ ყოფილა და საბოლოოდ, გამარჯვება მადიარებმა მოახერხეს — 71-ე წუთზე გელერტ ივანშიჩმა გრიგოლ ჭანტურიას გაუტანა.

„ზესტაფონი“ გათანაბრებას კი შეეცადა, თუმც ეტიენ ბიტოო გაუძევეს და კაცნაკლულებმა მეტოქე დიდად ველარ შეაწუხეს.

„ზესტაფონმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ჭანტურია, ე. საჯაია, ს. თოდუა, ვიეირა, უ. ლობჟანიძე, ბენაშვილი, კესანი, რ. ონიანი (შ. ლონლაძე 71), ნ. კვასხვაძე (დაუშვილი 60), ბიტოო, იონანიძე (ფიფია 54).*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სიონის თანამგზავრები

**გუშინ** „სიონი“ შეკრებაზე ზღვისპირეთში გაემგზავრა — ბოლნისელები ბათუმში, სასტუმრო „თანამგზავრში“ დაბინავდნენ და მეორე წრის დაწყებამდე იქ დარჩებიან.

გიორგი ყიფშიძემ 26 ფეხბურთელი იახლა, მათ შორის, ახალწვეულებიც...

*მეკარეები: მინდია ბობლიაშვილი, გიგა იაშვილი;*

*მცველები: მანუჩარ ქურასბედიანი, ბოიომო ფრიდოლინი, დავით სვანიძე, მიხეილ კობაური, გიორგი ოქროპირიძე, თემურ რაქვიაშვილი, ლაშა ვაშაკიძე, ოთარ ნაყოფია;*

*ნახევარმცველები: ლევან სანიკიძე, კახა ჩხეტიანი, ლევან ბაჯელიძე, ბექა ნოზაძე, ლევან უგულავა, ზაზა ჭელიძე, ლევან შავგულიძე, კონსტანტინე ავალიანი, გიორგი კვიტაიშვილი, გაგა გუგუნაშვილი, ზაურ ალფაიძე, გიორგი გაბრიჭიძე;*

*თავდამსხმელები: ერიკ რომეო ჩასემი, ბესიკ ქარდავა, შოთა ჯიქია, მანუჩარ ოქროპირიძე;*

როგორც ხედავთ, „სიონშია“ კახა ჩხეტიანი, რომელიც პირველი წრის შემდეგ „ზესტაფონიდან“ წავიდა, თუმც მისი ქვემოქართლურ გუნდში დარჩენა საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის.

თავის ყოფილ კლუბს დაუბრუნდა მიხეილ კობაური. იგი ცოტა ხნის წინ აზერბაიჯანში ისინჯებოდა, მაგრამ საქართველოში დაბრუნება მოუხდა.

ზღვისპირეთში ქვემოქართლელები 4 საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებენ: დღეს, 14 საათზე ურეკში რუსთავის „ოლიმპს“ გაეჯიბრებიან, 12 თებერვალს — გორის „დილას“, 15-ში — „ბათუმს“, ხოლო 18-ში — ზუგდიდის „მგლებს“.

**ნუკრი ლოლაძე**

# ვაცალოთ სანდროს! იაშვილის უგოლობა უცხოობის ბრალია



**ზაფხულში** სანდრო იაშვილის „თუნში“ გადასვლა შვეიცარიული სუპერლიგის ერთ-ერთ ხმაურიან ტრანსფერად მოინათლა, თუმც ნახევარ წელიწადში, ჩვენიანმა ოდენ ერთი გოლი გაიტანა ჩემპიონატში, მისი „თუნი“ კი ცხრილში ბოლოსწინა ადგილზეა.

სანდრო რამდენიმე დღე ავადმყოფობდა და ესპანურ შეკრებაზე საკონტროლო მატჩებიც გამოტოვა — ითამაშებს თუ არა ხვალ „სიონთან“, საკითხავია. ისე კი, ჩვენიანი უკვე ვარჯიშობს გუნდთან ერთად.

„თუნის“ ვებგვერდზე გუნდის თავკაც რენე ვან ეკის ინტერვიუა გამოქვეყნებული. მწვრთნელს სანდროზეც ეკითხებიან:

**— სანდრო იაშვილმა არ გაამართლა. რა არის ამის მიზეზი?**

— არ დაგავიწყდეთ, ის ჯერ 22 წლისაა. იაშვილი საქართველოდან ბომბარდირის სტატუსით ჩამოვიდა, უცხო გარემო დახვდა და ადაპტაცია გაუჭირდა. რატომღაც ჰგონიათ, რომ უცხოელი ფეხბურთელი აქ ეგრევე უნდა შეეგუოს სიტუაციას. კარგია, თუ ასე იქნება, მაგრამ იაშვილს გაუჭირდა და მას უნდა ვაცალოთ. სანდრო ინდივიდუალურად ძლიერი ფეხბურთელია, მისი იმედი მაქვს.

**ილია ნანობაშვილი**

# ჭელიძემ ქაისარი გაიფორმა

**კიდევ** ერთი ქართველი ფეხბურთელი ითამაშებს ყაზახეთის ჩემპიონატში — ლაშა ჭელიძემ ყიზილორდას „ქაისართან“ 1+1 სისტემის კონტრაქტი გააფორმა.

შეგახსენებთ: საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრე ჭელიძემ „ბორჯომში“ გაატარა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ხოხ. რა ყოფილა ხობი


ბადრი ქეთილაძის ფოტო

ზურაბ ხორგუაშვილი

**ქობულეთში** აგრძელებს მზადებას გორის „დილა“.

ქვემოქართლელებმა გუშინ კიდევ ერთი ტესტ-მატჩი გამართეს. მათი მეტოქე პირველლიგელი ხობის „კოლხეთი“ იყო და გაგიკვირდებათ, ხობელებმა 2:1 მოიგეს.

„კოლხეთი“ პირველ ტაიმში დაწინაურდა, საბა სულთანიშვილმა კი 58-ე წუთზე გაათანაბრა ანგარიში, თუმც მეგრელებმა ბოლო წუთზე მაინც გაიტანეს გამარჯვებისა.

„დილამ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *თ. ილურიძე, ტლაშაძე, ბალიაშვილი, ბალაშვილი, ლომიძე, ლაცაბიძე, ნ. ნოზაძე, გ. წინამძღვრიშვილი, სულთანიშვილი, შატაკიშვილი, გ. მიქაძე.*

*შეცვლაზე შევიდნენ: იმნაძე, საყვარელიძე, გიორგობიანი, იჩქითი, ვარდოსანიძე, აბრამიშვილი, კეჩხუაშვილი, რომელაშვილი, ბურნაძე.*

წაგების მიუხედავად, „დილას“ მთავარი მწვრთნელი ზურაბ ხორგუაშვილი უკმაყოფილო არ დარჩენილა — დილით დიდი დატვირთვები გვქონდა და „კოლხეთთან“ ამის შემდეგ ვითამაშეთო.

ხვალ „დილა“ კიდევ ერთ ტესტ-მატჩს გამართავს — მეტოქე ზუგდიდის „მგლები“ იქნება.

**ნუკრი ლოლაძე**

# ბაბუნაშვილმა შინ შეისვენა



**ლატვიური** „დინაბურგი“ თურქულ შეკრებაზე შოთა ბაბუნაშვილის გარეშე გაემგზავრა.

არ იფიქროთ, გუნდის მწვრთნელმა თამაზ პერტიამ გუნდში მის დატოვებაზე უარი თქვა. უბრალოდ, ბაბუნაშვილი მცირე ხნით საქართველოში დაბრუნდა და კლუბს თურქულ შეკრებაზე შეუერთდება.

შეგახსენებთ, რომ ყოფილი დინამოელი „დინაბურგში“ გასინჯვაზეა და ჯერჯერობით პერტია მისით კმაყოფილია, თუმც კიდევ ერთხელ დააკვირდება.

„დინაბურგთან“ ერთადაა კიდევ ერთი ქართველი ბაქარ გიორგაძე.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მესხეთი სამეზობლოდან ივსება

**ახალციხის** „მესხეთი“ პირველი წრის დასრულების შემდეგ რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა, თუმც კობა თედიაშვილის გუნდმა უკვე შევსებაც მიიღო — რუსთავის „ოლიმპიდან“ ნახევარმცველი ალექსანდრე კოშკაძე გადაიყვანა, ჭიათურის „მაღაროელიდან“ — თავდამსხმელი ზურაბ მუშკუდიანი, „ბორჯომიდან“ კი ცენტრალური მცველი ლევან მერებაშვილი.

როგორც შევიტყვეთ, მეორე წრისთვის „მესხეთში“ კიდევ ერთი ყოფილი ბორჯომელი, გიორგი მემარნიშვილიც ითამაშებს.

**ნუკრი ლოლაძე**

# ალადაშვილს თურქეთში მარცვალაძეც მიჰყვება

**ვლადიმირ ბესონოვის** „ხარკოვი“ დღეს მესამე თურქულ შეკრებაზე გაემგზავრა. იმ 20 ფეხბურთელს შორის, რომელსაც თან იახლებს, კახა ალადაშვილიცაა.

რაც შეეხება ოთარ მარცვალაძეს: იგი ხარკოველებს პირველ შეკრებაზე ახლდა და მხოლოდ ერთი მატჩი ითამაშა, შემდეგ კი ტრავმის გამო მეორე შეკრება გაუცდა. ჩვენებურმა მკურნალობა ახლახან დაასრულა და თავიდან შეეცდება მწვრთნელისთვის თავის მოწონებას.

მისი საკითხი სწორედ გამგზავრების წინ უნდა გადაწყდეს.

როგორც უკრაინული ვებგვერდები წერენ, ბესონოვი ქართველ ფეხბურთელს კიდევ ერთ შანსს მისცემს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ბათუმი მგლებს დაუზავდა

**ქობულეთში** შეკრებაზე მყოფმა ზუგდიდის „მგლებმა“ მორიგი ტესტ-მატჩი გამართა — მეგრელები „ბათუმს“ დაუზავდნენ — 2:2.

ბესიკ შეროზიას გუნდი ორჯერ იგებდა, მაგრამ ზღვისპირელებმა ორჯერვე შეძლეს გაქვითვა.

25-ე წუთზე გიორგი კრასოვსკიმ დააწინაურა „მგლები“, თუმც 10 წუთში წონასწორობა აღდგა — „ბათუმში“ „მესხეთიდან“ დაბრუნებულმა გიორგი თურმანიძემ იყოჩაღა.

შეცვლაზე შესულმა დავით კუტალიამ „მგლები“ 85-ე წუთზე ისევ წინ გაიყვანა. მატჩის ბოლო წუთზე კი ბათუმელები მარცხს ოქრუაშვილმა გადაარჩინა.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

*მგლები: ივარდავა, ზ. ექონია, მაჭავარიანი, ჟვანია, კაკაბაძე, დ. ქირია, ვართაგავა, გოგოხია, ხოხონიშვილი, ზ. ჯანაშია, კრასოვსკი.*

*შეცვლაზე შევიდნენ: გ. ქირია, გ. ექონია, კუტალია, ხუხია, კუჭუხიძე.*

*ბათუმი: თოთლაძე (ი. დევაძე 75), კუნჭულია (ბ. მახარაძე), გალოგრე (ა. ბაჯელიძე 35), თედორაძე, მაკარიანი, ბეჟანიძე (ოქრუაშვილი 50), ცანავა, გ. თურმანიძე, დემურაძე, ტუღუში (გ. ჩელებაძე 55), ბაციკაძე.*

„მგლები“ ხვალ გორის „დილას“ გაეჯიბრება ამხანაგურად და ზუგდიდში დაბრუნდება. „ბათუმი“ კი 11 თებერვალს პირველლიგელ ჭიათურის „მაღაროელს“ დაუხვდება. როგორც ბათუმელთა მწვრთნელმა ავთანდილ კუნჭულიამ გვითხრა, 12 თებერვალს თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობას შეხვდება და მაშინ გადაწყდება, ინათხოვრებენ თუ არა ფეხბურთელებს თბილისური კლუბიდან.

**ნუკრი ლოლაძე**

# დაწუნებული საქართველო

**აგდამის** „ყარაბახში“ გასინჯვაზე მყოფი სამი ქართველი ფეხბურთელი — გიორგი ხუციშვილი, ვალერი ბოლქვაძე და მიხეილ კოსტავა — საქართველოში დაბრუნდა.

აზერბაიჯანული ვებგვერდების ცნობით, ქართველებმა აგდამელთა მწვრთნელ რასიმ კარას თავი ვერაფრით მოაწონეს და მანაც ჩვენებურთა დახმარებაზე უარი თქვა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მფრინავი ალ ჰადარი

MTN Africa Cup of Nations
GHANA 2008

**ნახევარფინალი**

**კოტ დივუარი 1:4 ეგვიპტე**

**0:1 ფატჰი (12), 0:2 ზაქი (62), 1:2 კეიტა (63), 1:3 ზაქი (67), 1:3 აბუთრიქა (90)**

**კოტ დივუარი: ბარი (ლობუე 39), ებუე, ჯ. ტურე, მეიტე, ბოკა, ზოკორა, ი. ტურე, ა. კეიტა, ს. კალუ (ბ. კონე 59), დროგბა, დინდანი (ა. კონე 78)**

**მწვრთნელი: ჟერარ ჟილი**

**ეგვიპტე: ალ ჰადარი, მოჰამადი, ჰ. საიდი, გომაა, მოავადი, აბდ რაბუ, ჰასანი, ფატჰი, აბუთრიქა, მოთაები (ზიდანი 68), ზაქი (ი. საიდი 86)**

**მწვრთნელი: ჰასან შეჰათა**

**მსაჯი: ედი მეიე (სეიშელები)**

**30 000 მაყურებელი**

**ისევე,** როგორც ორი წლის წინ, ეგვიპტემ კოტ დივუარი დაამარცხა. მაშინ ტურნირი ეგვიპტეში იყო და მასპინძლებმა ფინალში პენალტებით იმარჯვეს, ამჯერად კი ნახევარფინალში გადაეყარნენ „სპილოებს", რომლებსაც რევანში სწყუროდათ, მაგრამ „ფარაონებმა" მეტოქეს ხორთუმი ისე მოუგრიხეს, პენალტები არ დასჭირვებიათ.

მატჩამდე სალომონ კალუ იმუქრებოდა, ჩვენზე უკეთესი გუნდი ამ ტურნირზე არ არის და არაბებს გავანადგურებთო, მაგრამ ეგვიპტე „სპილოებისთვის" იოლად გასაჭყლეტი არ გამოდგა. კალუმ ისიც თქვა, გახსნილ თამაშში კოტ დივუარი აუცილებლად მოიგებსო, თუმც მეტოქე არ გაიხსნა. ჰასან შეჰათას გუნდი მეთორმეტე წუთზე დაწინაურდა და დაცვაში გამაგრდა. კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი აჰმედ ფატჰის მიუვიდა, მისი დარტყმული მცველს მოხვდა და გეზნაცვალი შევარდა კარში.

მიუხედავად ეგვიპტელთა „კარჩაკეტილობისა", დიდიე დროგბას სამი საგოლე მომენტი ჰქონდა, მაგრამ მეკარე ალ ჰადარი „დაფრინავდა", „ჩელსის" ფორვარდს სამჯერვე აუღო ახლოდან დარტყმული. „დღეს მე ვარ ყველაზე ბედნიერი კაცი მსოფლიოში" — თქვა ალ ჰადარიმ ნამატჩევს.

39-ე წუთზე კოტ დივუარის მეკარე ბუბაქარ ბარი დაშავდა და მის ნაცვლად ძელებს შუა სტეფან ლობუე ჩადგა. ტაიმის დასრულებისთანავე „სპილოებმა" სათადარიგოთა სკამზე მსხდომი ეგვიპტელი მწვრთნელ-ფეხბურთელებისკენ გაიწიეს, მაგრამ ჩხუბი არ ამტყდარა.

შესვენების შემდეგ კოტ დივუარი გასათანაბრებლად უტევდა, თუმც გოლი ისევ „ფარაონებმა" გაიტანეს. კუთხურის შედეგად ბურთი მცველმა უშნოდ მოიგერია, პასი გამოუვიდა და ამირ ზაქიმ თავით ცხრიანში შეაგდო. აი, აქ კი გაიხსნა თამაში და ოთხ წუთში გუნდებმა თითო გოლი გაცვალეს. კეიტამ საჯარიმოს გარედან საუცხოო დარტყმით სხვაობა შეამცირა და „სპილოებს" იმედი გაუცოცხლა, რომელიც ზაქიმ მალევე მოკლა. მანაც კეიტაზე არანაკლებ კოხტა გოლი მიითვალა. ბოლოს კოტ დივუარი მეტოქის კარს მიაწყდა, ეგვიპტემ კი კონტრშეტევაზე იხეირა. მოჰამედ ზიდანის პასით აბუთრიქამ გაათხა.

„მათ დაიმსახურეს გამარჯვება — თქვა დიდიე დროგბამ — ბრწყინვალე მეკარე ჰყავთ და ფინალშიც მოგებას ვუსურვებ". დროგბას კვერი დაუკრა მწვრთნელმა ჟერარ ჟილმაც: „ალ ჰადარი დღეს საუკეთესო იყო. ჩემმა ფეხბურთელებმა თავი არ დაზოგეს, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენეს, მეტოქემ კი შეცდომები არ გვაპატია. ბუბაქარ ბარის ტრავმა არაა მარცხის მიზეზი, თუმც ასეთი სხვაობით წაგებას ალბათ არ ვიმსახურებდით. მეკარის შეცვლის შემდეგ კი თავდასხმაში მესამე ცვლილების გაკეთება აღარ შემეძლო და გუნდი ველარ გადავაწყვე".

მესამე ადგილისთვის დღეს განა და კოტ დივუარი ითამაშებენ, ხვალ კი ფინალი გაიმართება. ეგვიპტეს აფრიკის ეროვნებათა თასი ყველაზე მეტჯერ, ხუთჯერ მოუგია, კამერუნი კი ოთხგზის გამარჯვებულია. ეს გუნდები ჯგუფურ ეტაპზეც შეხვდნენ ერთმანეთს და „ფარაონებმა" „მოუთვინიერებელ ლომებს" 4:2 სძლიეს. ეს კარგად ენიშნა ეგვიპტელთა მეორე მწვრთნელ შაუქი ღარებს, რომელმაც განაცხადა: „ახლა ფინალის მოგება გვმართებს, რადგან ისტორია მეორდება. 2006 წელს კოტ დივუარი ჯგუფში დავამარცხეთ და მერე ფინალშიც ვაჯობეთ. იგივე ხდება ამჯერადაც, კამერუნს მეორედ ვეთამაშებით. მათ მაღალი კლასის ფეხბურთელები ჰყავთ და პატივს ვცემთ, მაგრამ თასი ეგვიპტეში უნდა წავიღეს".

**ვაჟა ხუციშვილი**

კამერუნისა და ეგვიპტის ნაკრებთა ურთიერთშეხვედრები აფრიკის ეროვნებათა თასზე:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1984 | კამერუნი | 0:1 | ეგვიპტე |
| 1986 | კამერუნი | 0:0 | ეგვიპტე |
| 1988 | კამერუნი | 1:0 | ეგვიპტე |
| 1996 | კამერუნი | 2:1 | ეგვიპტე |
| 2002 | კამერუნი | 1:0 | ეგვიპტე |
| 2004 | კამერუნი | 0:0 | ეგვიპტე |



ეგვიპტელთა მეკარემ ესამ ალ ჰადარიმ კოტდივუარელები გადარია

## როკი დაოკდა

**„ლაციოს"** ფორვარდი ტომაზო როკი კლუბთან ახალი კონტრაქტის პირობებზე მორიგდა და მომავალ სეზონშიც რომაულ კლუბში ითამაშებს. წელიწადზე მეტია, ფეხბურთელი ჯამაგირის მომატებას ითხოვდა და წასვლით იმუქრებოდა, მაგრამ ახლა პრობლემა მოგვარდა. „ჩემი მომავალი აქაა — თქვა როკიმ — შესაძლოა, შინაური თუ ევროჯილდოების მოგების შანსი „ლაციოში" ძალიან მცირეა, მაგრამ მაინც ამ გუნდის ერთგული ვიქნები. ვიმედოვნებ, რომ მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგის საგზურს კვლავ მოვიპოვებთ".

## ინტერი ჯუზეპეს აპირებს

**„ინტერი"** ზაფხულში „ვილიარეალიდან" ჯუზეპე როსის ყიდვას შეეცდება. „კორიერე დელო სპორტის" ცნობით, მასიმო მორატი ახალგაზრდა თავდამსხმელში 12 მილიონი გირვანქის გადახდას აპირებს. „პარმას" აღზრდილი და „მანჩესტერში" გადასული როსი შარშან გაზაფხულზე ინგლისელებმა ისევ პარმელებს ათხოვეს. ზაფხულში „ვილიარეალმა" ჯუზეპე 7 მილიონ გირვანქად შეიძინა და ფეხბურთელმა ამ სეზონში 10 გოლი გაიტანა. გარდა ამისა, „ინტერი" ხუთწლიან კონტრაქტს შესთავაზებს თავისივე ფორვარდს, 17 წლის მარიო ბალოტელის, რომელმაც „იუვენტუსთან" სათასო მატჩში დუბლი შეასრულა.

## დეკუმ იუვე იუარა

**„ბარსელონას"** პორტუგალიელმა ვარსკვლავმა დეკუმ უარყო ცნობა ზაფხულში „იუვენტუსში" გადასვლის თაობაზე. ტურინულ კლუბს საყრდენი ნახევარმცველი სჭიირდება, რადგან ტიაგუ მენდეშმა არ გაამართლა, სერხიო ალმირონი კი „მონაკოს" ათხოვეს. „დიარიო სპორტმა" დაწერა, რომ დეკუ იაია ტურესთან კონკურენციას ვერ უძლებს და აბარგება მოუწევს, მისი მსურველი კი „იუვენტუსია". „გულახდილი კაცი ვარ და თავსაც არ ვიტყუებ — თქვა პორტუგალიელმა — „ბარსელონაში" არანაირი პრობლემა არ მაქვს, ხოლო ჩემს აგენტს „იუვედან" არავინ დაკავშირებია.

## კაპელომ ლოპესი უკარნახა

**მიუხედავად** იმისა, რომ „მილანის" შეფები ნელსონ დიდას ნდობას უცხადებენ, იტალიური მედიის ცნობით, კლუბი ზაფხულში ბრაზილიელის შემცვლელის ყიდვას აპირებს. დიდა ძველებურად საიმედო ველარაა და კარლო ანჩელოტი მეორე მეკარე ჟელკო კალაჩითაც უკმაყოფილოა. ფაბიო კაპელომ მილანელებს „ვილიარეალის" გოლკიპერი დიეგო ლოპესი ურჩია. ლოპესი „რეალში" იყო, როცა კაპელო ამ გუნდს თავკაცობდა და მისი ავანჩავანი კარგად იცის. 26 წლის ესპანელმა „ვილიარეალის" ძირითადი შემადგენლობიდან ურუგვაელი სებასტიან ვიერა ამოაგდო.

## ჩელინომ გაიცინა

**„კალიარის"** პრეზიდენტმა მასიმო ჩელინომ განაცხადა, რომ მოჩხუბარ პასკუალე ფოჯას არ გაყიდის. მან და დავიდე მარკინიმ ჯერ ვარჯიშისას იქნიეს მუშტები, მერე კი, როგორც ამბობენ, ფოჯამ ბარში მყოფ მარკინის ბიჭები მიუგზავნა და აცემინა. ამის გამო „ცემის ორგანიზატორი" გუნდიდან მოკვეთეს და მისი შეძენა „ნაპოლის" და „პალერმოს" სურთ. ჩელინომ თქვა: „პასკუალე ფოჯაზე გაზეთში წავიკითხე და გამეცინა. ისე წერია, თითქოს „კალიარი" არაფერშუაშია. ფეხბურთელს არ ვყიდით და არც მას უნდა გუნდიდან წასვლა".

## ებუეს თოფი ურჩევნია

**„არსენალის"** კოტდივუარელ მცველ ემანუელ ებუეს „მილანი" და „იუვენტუსი" ეპატიჟებიან. ეს ამბავი ფეხბურთელმა თავად გაამხილა. ებუე „მეთოფეებში" 2004 წელს „ბევერენიდან" გადავიდა და ძირითად შემადგენლობაში ადგილი მალე დაიმკვიდრა. მას მარჯვენა ფლანგზე მცველობაც შეუძლია და ნახევარმცველობაც. SKY-სთან საუბარში ებუემ თქვა: „იანვრის სატრანსფერო პერიოდში „არსენალს" „იუვე" და „მილანი" დაუკავშირდნენ, მაგრამ მე აქაურობა მომწონს და კლუბის გამოცვლას არ ვაპირებ".

## ნედვედს მურაბა გაუმზადეს

**ჯეილიგის** კლუბი „ტოკიო" პაველ ნედვედის გადაბირებას ლამობს. იაპონური „ნიკან სპორტის" ცნობით, 35 წლის ჩეხში „ტოკიო" 10 მილიონ დოლარს გაიმეტებს. „იუვესთან" მოსალაპარაკებლად მზად ვართ და იტალიელებს მალე შევხვდებით კიდეც. ვნახავთ, როგორ განვითარდება მოვლენები და ამის მიხედვით ვიმოქმედებთ" — განაცხადა კლუბის შეფმა იუტაკა მურაბაიაშიმ.

## კასანოს იტოვებენ

**„სამპდორიას"** დირექტორი ჯუზეპე მაროტა მადრიდის „რეალთან" ანტონიო კასანოს ტრანსფერზე ვაჭრობას აპირებს. იტალიელი ფორვარდი მადრიდელებს ეკუთვნის, ხოლო „სამპდორიამ" შარშან ზაფხულს ერთი სეზონით ითხოვა. ზაფხულში ფეხბურთელი ესპანეთში უნდა დაბრუნდეს, მაგრამ არც თვითონ ეხატება გულზე „რეალი" და მაროტასაც არ ემეტება გასაშვებად. „კმაყოფილები ვართ კასანოს თამაშით და გვსურს, რომ მომავალი სეზონიც აქ გაატაროს. უახლოეს დღეებში მადრიდში ჩავალ და „რეალის" შეფებს დაველაპარაკები" — განაცხადა დირექტორმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# პრემიერლიგის გლობალიზაცია
## რა რიცხვია დღეს?




**ფაბიო კაპელომ** და ჰარი რედნაპმა გაოცებისგან პირი დააღეს — პრემიერლიგას თავში აზრად მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში ბურთაობა მოუვიდა.

დიახ, ამ დღეებში, პრემიერლიგის შეფებმა გადაწყვიტეს, შემოიღონ კიდევ ერთი, 39-ე ტური, რომელსაც იანვარში ჩაატარებენ და ამ ტურის თამაშებს თბილ ქვეყნებში ჩაატარებენ. ლაპარაკია სიდნეიზე, კეიპტაუნზე, ლოს ანჯელესზე...

და, რაც ყველაზე საინტერესოა, ნაკრების იტალიელმა მწვრთნელმა ამ ყბისჩამოსავარდნი იდეის შესახებ მასთან კომენტარისთვის მისული ჟურნალისტებისგან შეიტყო, „პორტსმუთის“ თავკაცს კი პროექტის ამბავი გაგონილი ჰქონდა და პირდაპირ უპასუხა, ეს საშინლად არაბუნებრივი რამ არისო.

რედნაპი: „ჩემთვის გაუგებარია, რატომ ცდილობს პრემიერლიგა, ყველაფერი არიოს და ყირამალა დააყენოს“.

აღსანიშნავია, რომ პრემიერლიგის შეფთა გეგმის თანახმად, „გამსვლელი ტური“ ისე დაიგეგმება, რომ ცხრილის ზედა ხუთი გუნდი ერთმანეთს არ შეხვდეს. სხვა სიტყვებით, განთესვას აპირებენ. როდესაც წყვილები დასახელდება, სხვადასხვა ქვეყნები წარადგენენ თავიანთ განაცხადებს და გამარჯვებული ქალაქები „იმ“ უქმეებზე ორ შეხვედრას უმასპინძლებენ.

და რა გამოდის? გამოდის, რომ, დამატებითი ტურის გამო, ზოგ გუნდს სეზონის განმავლობაში ლიდერებთან სამჯერ მოუწევს დაპირისპირება, რაც, ბუნებრივია, საბოლოო ცხრილზე გავლენას მოახდენს.

რედნაპი: „და ეს იდეალური ვარიანტი ნამდვილად ვერ იქნება, ასე არ არის? ხომ ფაქტია, რომელიმე გუნდს „არსენალი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ უნდა ერგოს, ეს კი ამ გუნდების მიმართ სამართლიანი აღარ იქნება.

სამწუხაროა, რომ გეგმა უკვე დამტკიცებულს ჰგავს. მეტსაც გეტყვით, ძალიან გამიკვირდება, პრეცედენტის შემდეგ ასეთი ტურების რაოდენობა თუ არ გაიზრდება. თანდათანობით იმის მოწმენი გავხდებით, რომ პრემიერლიგის ორი, სამი და ოთხი თამაში გადაბარგდება საზღვარგარეთ, მე კი ეს ამბავი ძალიან არ მომწონს“.

მაგრამ, მოსწონს ეს ამბავი ჰარი რედნაპს, თუ არა, პრემიერლიგაში ხელებს იფშვნეტენ და ამბობენ, რომ „გამსვლელი ტურიდან“ [illegible]ლობით თითოეულ გუნდს, სულ მცირე, 5 მილიონ გირვანქას მოუტანენ.

ერთი სიტყვით, საკითხი ოფიციალურად შესწავლის ეტაპზეა — პროექტის ავტორებს პრემიერლიგის ოცივე გუნდმა დაფიქრება აღუთქვა და თუ გეგმას მოიწონებენ, 2011 წლიდან საქმესაც შეუდგებიან.

პრემიერლიგის აღმასრულებელი შეფი რიჩარდ სკუდემორი: „გეგმას დიდი ენთუზიაზმით ვუყურებთ. ეს ისეთივე სტრატეგიული ნაბიჯია, როგორიც თავის დროზე საკუთრივ პრემიერლიგის შექმნა იყო. კლუბებიც გვეთანხმებიან. ისინი ამბობენ, რომ საამისოდ უკვე ყველაფერი მომწიფებულია და, მერწმუნეთ, თუ ჩვენ არ გადავდგით ეს ნაბიჯი, სპორტის რომელიმე სხვა სახეობა გადადგამს. პრემიერლიგა სულ უნდა ვითარდებოდეს, ადგილზე დგომა არაფრით შეიძლება.

მინდა გითხრათ, რომ ბოლო პერიოდში ამ საკითხზე ინტენსიურად ვფიქრობდით, რადგან აგერ უკვე ხუთი წელიწადია, სხვადასხვა ქალაქებმა შემოთავაზებები მოგვაყარა. ფეხბურთი მთელი მსოფლიოს საკუთრებაა და ჩვენი ნაბიჯიც სრულიად ეხამება გლობალიზაციას, მაგრამ... ჩვენ მხოლოდ ერთ დამატებით ტურზე გვაქვს ლაპარაკი“.

ყველაზე საინტერესო რეაქცია კი „მიდლსბროს“ მწვრთნელს გარეთ საუთგეიტს ჰქონდა.

„დღეს რა, პირველი აპრილია?“ — იკითხა მან.

**ბაჩუნა ძიძია**

---

**XXVI ტური**

**დღეს**

| | | |
|---|---|---|
| ასტონ ვილა | : | ნიუკასლი |
| ბოლტონი | : | პორტსმუთი |
| დერბი | : | ტოტენჰემი |
| ევერტონი | : | რედინგი |
| მიდლსბრო | : | ფულემი |
| სანდერლენდი | : | უიგანი |
| ვესტ ჰემი | : | ბირმინგემი |

**ხვალ**

| | | |
|---|---|---|
| ჩელსი | : | ლივერპული |
| მანჩესტერი | : | სიტი |

**ზეგ**

| | | |
|---|---|---|
| არსენალი | : | ბლექბერნი |

# ინგლისი ტყუპები

**იმ სამ სეზონში,** როცა „ჩელსის“ ჟოზე მაურინიუ წვრთნიდა, „ლურჯებმა“ „ლივერპულს“ შინ სამივე მატჩი ისე მოუგეს, გოლი არ გაუშვიათ. ხვალ ეს გუნდები „სტემფორდ ბრიჯზე“ შეხვდებიან და იმისათვის, რომ „ჩელსი“ საჩემპიონო რბოლას შერჩეს, მეტოქე უნდა დაამარცხოს. ზედიზედ ცხრა მატჩის მოგების შემდეგ ავრაამ გრანტის გუნდმა წინა ტურში პორტსმუთში დაამუხრუჭა და 1:1 ითამაშა. ლონდონელებს ფრენკ ლამპარდი გამოუკეთდათ და გამორიცხული არაა, ხვალ ძირითად შემადგენლობაში თუ არა, შეცვლაზე მაინც გამოჩნდეს. ტრავმები ჯერ არ მოუშუშებიათ ჯონ ტერისა და ანდრეი შევჩენკოს, რიკარდუ კარვალიუმ კი დისკვალიფიკაცია მოიხადა. ნიგერიელი ჯონ ობი მიკელი აფრიკის თასიდან დაბრუნდა, დროგბა, კალუ და ესიენი კი კვლავაც განაში არიან.

„ლივერპულის“ საქმე ტრავმების მხრივ უარესადაა. ანდრეი ვორონინი, ფაბიო აურელიო, ალვარო არბელოა და დანიელ აგერი გუნდს ვერ დაეხმარებიან. რაიან ბაბელი ხორვატიასთან მატჩში დაშავდა და მისი თამაში საეჭვოა. ყველაზე დიდი დანაკლისი კი ფერნანდო ტორესია, რომელიც ოთხშაბათს ფრანგებთან შეხვედრისას პირველ ტაიმში შესაცვლელი გახდა და ალბათ, მომავალ კვირაში ასოციაციის თასის მატჩსაც გამოტოვებს. ხაბი ალონსო დისკვალიფიცირებულია.

მანჩესტერულ დერბიში „იუნაიტედი“ „სიტის“ თუ მოუგებს, „არსენალს“ გადაასწრებს, რადგან „მეთოფეები“ „ბლექბერნს“ ზეგ უმასპინძლებენ. „სიტიმ“ მეორე წრეში უკლო და ცხრილშიც მეოთხე ადგილიდან მეშვიდეზე დაეშვა. „იუნაიტედს“ ტრავმირებული ჰყავს ევრა, საა, გარი ნევილი და სილვესტრი, სიტელებს კი ჩორლუკა, ჯონსონი და კასტილიო.

„არსენალს“ „ბლექბერნთან“ კვლავ ვერ დაეხმარებიან რობინ ვან პერსი, ჯასტინ ჰოიტი და იოჰან ჯურუ. ალმუნია, როსიცკი და ჟილბერტო სილვა გამოკეთდნენ და შესაძლოა, ითამაშონ. „ბლექბერნს“ დისკვალიფიცირებული კრისტოფერ სამბა, დევიდ დანი და მორტენ გამსტ პედერსენი დააკლდებიან, ხოლო ანდრე ოიერი, სტივენ რიდი და რაიან ნელსენი ტრავმებს იშუშებენ. აფრიკის თასიდან დაბრუნდა აარონ მოკოენა, მეტ დერბიშირს კი ბურთისთვის არ სცალია, რადგან მისი ცოლი ტყუპებს ელოდება.

„ასტონ ვილას“ მთავარმეგოლე გაბრიელ აგბონლაჰორი დაშავებულია და „ნიუკასლთან“ მისი თამაში საეჭვოა, ისევე, როგორც სტილიან პეტროვისა. ბირმინგემელებს სასჯელმოხდილი ეშლი იანგი დაუბრუნდათ, „კაჭკაჭებს“ კი ტრავმის გამო შარლ ნზოგბია ვერ დაეხმარება.

**ვაჟა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არსენალი | | 2:2 | 1:0 | | | | 1:0 | | 3:1 | 2:0 | 2:1 | 3:0 | | 2:0 | 2:0 | 3:2 | | 1:1 | 2:1 | 5:0 | 25 | 18 | 6 | 1 | 52:18 | 60 | 11 | 2 | 0 | 29:8 | 35 | 7 | 4 | 1 | 23:10 | 25 |
| 2 | მანჩესტერი | | | 2:0 | 2:1 | | | | 2:0 | 2:0 | | 1:0 | 6:0 | 4:1 | | 4:0 | 1:0 | 0:0 | 1:0 | 2:0 | 4:1 | 25 | 18 | 4 | 3 | 49:12 | 58 | 12 | 1 | 0 | 31:3 | 37 | 6 | 3 | 3 | 18:9 | 21 |
| 3 | ჩელსი | | | | 1:1 | | 4:4 | 6:0 | 0:0 | 1:0 | 1:0 | 2:0 | 2:1 | | | | 2:0 | 1:0 | 3:2 | 0:0 | | 25 | 16 | 6 | 3 | 38:17 | 54 | 8 | 4 | 0 | 23:8 | 28 | 8 | 2 | 3 | 15:9 | 26 |
| 4 | ევერტონი | 1:4 | 0:1 | | | 1:2 | | 1:0 | 1:1 | | | 0:0 | | 2:0 | 2:0 | 2:1 | 7:1 | | 3:1 | 3:0 | | 25 | 13 | 5 | 7 | 40:23 | 44 | 7 | 2 | 3 | 23:11 | 23 | 6 | 3 | 4 | 17:12 | 21 |
| 5 | ლივერპული | 1:1 | 0:1 | 1:1 | | | 2:2 | | | 4:1 | | 2:2 | | | 4:0 | 1:1 | 3:0 | | 0:0 | 2:0 | 6:0 | 24 | 11 | 10 | 3 | 40:17 | 43 | 5 | 6 | 1 | 26:9 | 21 | 6 | 4 | 2 | 14:8 | 22 |
| 6 | ასტონ ვილა | 1:2 | 1:4 | 2:0 | 2:0 | 1:2 | | 1:1 | 1:1 | 1:3 | 1:0 | 2:1 | | | | | | 3:1 | | 2:1 | 2:0 | 25 | 11 | 8 | 6 | 44:33 | 41 | 7 | 2 | 4 | 20:16 | 23 | 4 | 6 | 2 | 24:17 | 18 |
| 7 | სიტი | 1:3 | 1:0 | | | 0:0 | 1:0 | | 2:2 | | 1:1 | | 3:1 | 3:1 | 4:2 | | 1:0 | 2:1 | 1:0 | | 1:0 | 25 | 11 | 8 | 6 | 32:28 | 41 | 9 | 3 | 1 | 21:11 | 30 | 2 | 5 | 5 | 11:17 | 11 |
| 8 | ბლექბერნი | 1:1 | | 0:1 | 0:0 | 0:0 | 0:4 | 1:0 | | 0:1 | 0:1 | | 3:1 | 1:1 | | | 1:0 | 4:2 | 2:1 | | | 25 | 10 | 9 | 6 | 32:31 | 39 | 5 | 4 | 4 | 13:13 | 19 | 5 | 5 | 2 | 19:18 | 20 |
| 9 | პორტსმუთი | 0:0 | 1:1 | 1:1 | 0:0 | 0:0 | | 0:0 | | | 0:0 | 0:1 | | 0:1 | 3:1 | | | 7:4 | | | 3:1 | 25 | 10 | 8 | 7 | 35:26 | 38 | 3 | 7 | 2 | 15:10 | 16 | 7 | 1 | 5 | 20:16 | 22 |
| 10 | ვესტ ჰემი | 0:1 | 2:1 | | 0:2 | 1:0 | | 0:2 | | | | 1:1 | | 3:0 | 1:1 | 1:1 | 3:1 | 1:1 | | 2:1 | | 24 | 10 | 6 | 8 | 29:22 | 36 | 5 | 4 | 3 | 15:12 | 19 | 5 | 2 | 5 | 14:10 | 17 |
| 11 | ტოტენჰემი | 1:3 | 1:1 | | 1:3 | | 4:4 | 2:1 | 1:2 | | | | | | | 4:0 | 2:0 | 6:4 | 2:3 | 5:1 | 4:0 | 25 | 7 | 8 | 10 | 45:41 | 29 | 6 | 2 | 4 | 33:22 | 20 | 1 | 6 | 6 | 12:19 | 9 |
| 12 | ნიუკასლი | 1:1 | | | 3:2 | 0:3 | 0:0 | 0:2 | | 1:4 | 3:1 | 3:1 | | 1:1 | 0:0 | 1:0 | | | 2:1 | | 2:2 | 25 | 7 | 7 | 11 | 28:43 | 28 | 5 | 5 | 3 | 17:18 | 20 | 2 | 2 | 8 | 11:25 | 8 |
| 13 | მიდლსბრო | 2:1 | | 0:2 | 0:2 | 1:1 | 0:3 | | 1:2 | | 1:2 | 1:1 | 2:2 | | | 1:0 | 2:2 | | 2:0 | | | 25 | 6 | 8 | 11 | 22:38 | 26 | 3 | 4 | 5 | 13:18 | 13 | 3 | 4 | 6 | 9:20 | 13 |
| 14 | ბოლტონი | | 1:0 | 0:1 | 1:2 | | 1:1 | | 1:2 | | | 1:1 | 1:3 | 0:0 | | 4:1 | | 3:0 | 3:0 | 0:0 | 1:0 | 25 | 6 | 7 | 12 | 26:34 | 25 | 5 | 4 | 4 | 17:11 | 19 | 1 | 3 | 8 | 9:23 | 6 |
| 15 | უიგანი | | | 0:2 | 1:2 | 0:1 | 1:2 | 1:1 | 5:3 | 0:2 | 1:0 | | 1:0 | 1:0 | | | 3:0 | | | 1:1 | | 25 | 6 | 5 | 14 | 24:40 | 23 | 5 | 2 | 5 | 15:14 | 17 | 1 | 3 | 9 | 9:26 | 6 |
| 16 | სანდერლენდი | | 0:4 | | | 0:2 | 1:1 | | 1:2 | 2:0 | | 1:0 | 1:1 | | 3:1 | | | 2:1 | 2:0 | 1:1 | 1:0 | 25 | 6 | 5 | 14 | 24:45 | 23 | 6 | 3 | 3 | 15:13 | 21 | 0 | 2 | 11 | 9:32 | 2 |
| 17 | რედინგი | 1:3 | 0:2 | 1:2 | 1:0 | 3:1 | | | | 0:2 | 0:3 | | 2:1 | 1:1 | 0:2 | 2:1 | 2:1 | | | | 1:0 | 25 | 6 | 4 | 15 | 30:52 | 22 | 6 | 1 | 6 | 14:19 | 19 | 0 | 3 | 9 | 16:33 | 3 |
| 18 | ბირმინგემი | | 0:1 | 0:1 | | | 1:2 | | | 0:2 | 0:1 | | | 3:0 | 1:0 | 3:2 | 2:2 | 1:1 | | 1:1 | 1:1 | 25 | 5 | 6 | 14 | 24:37 | 21 | 3 | 4 | 5 | 13:14 | 13 | 2 | 2 | 9 | 11:23 | 8 |
| 19 | ფულემი | 0:3 | | 1:2 | | | 2:1 | 3:3 | 2:2 | 0:2 | | 3:3 | 0:1 | 1:2 | 2:1 | 1:1 | | 3:1 | | | 0:0 | 25 | 3 | 10 | 12 | 25:43 | 19 | 3 | 5 | 5 | 18:22 | 14 | 0 | 5 | 7 | 7:21 | 5 |
| 20 | დერბი | | | 0:2 | 0:2 | 1:2 | | 1:1 | 1:2 | 2:2 | 0:5 | | 1:0 | 0:1 | 1:1 | 0:1 | | | 1:2 | | | 25 | 1 | 6 | 18 | 13:52 | 9 | 1 | 3 | 8 | 8:21 | 6 | 0 | 3 | 10 | 5:31 | 3 |

# დიეგოზე ვაჭრობა იწყება




**ბრემენის** „ვერდერის“ ბრაზილიელმა ლიდერმა დიეგომ კიდევ ერთხელ განაცხადა, „იუვენტუსში“ სიამოვნებით გადავალო. 22 წლის ნიჭიერ პლეიმეიკერს სხვა მსურველებიც ჰყავს, მაგრამ დიეგოს გული ტურინისკენ მიუწევს და იმასაც ამბობენ, „ბიანკონერის“ საზაფხულო ტრანსფერების სიაში იგი პირველ ადგილზეაო.

„ძალიან მეამაყება, რომ „იუვენტუსის“ დარი კლუბია ჩემით დაინტერესებული. პრესაში წავიკითხე, თითქოს ჩემი ყიდვა „ინტერს“ და სხვა კლუბებსაც უნდათ, მაგრამ ჩვენ კონტაქტი ტურინელებთან გვაქვს“ — აღნიშნა დიეგომ „ლა გაძეტა დელო სპორტთან“ საუბარში.

ბრაზილიელს ფიფას წესდების მე-17 პუნქტის გამოყენება შეუძლია. ანუ ზაფხულში თავის კონტრაქტს გამოისყიდის და „იუვეში“ ისე გადავა. ტურინელებს ეს გზა გაცილებით იაფი დაუჯდებათ, მაგრამ დიეგო ამბობს, რომ ამას არ იზამს.

„მინდა, „ბიანკონერის“ დირექტორებმა იცოდნენ, რომ ბრემენში ბედნიერი ვარ და ვინმესთან კონფლიქტში შესვლას ან ულტიმატუმების წაყენებას არ ვაპირებ. აქ გავიზარდე, კლუბთან კონტრაქტი 2012 წლამდე მაქვს და მას პატივს ვცემ. „იუვე“ ჩვეულებრივად, პირდაპირ „ვერდერს“ უნდა დაუკავშირდეს და თუ მხარეები შეთანხმებას მიაღწევენ, პრობლემა არ იქნება. ვიმეორებ, ტურინში გადაბარგება ძალიან მინდა და პირადი კონტრაქტის დეტალების შეთანხმებაში პრობლემები არ გვექნება. „იუვენტუსი“ ბრაზილიაში ძალიან პოპულარული კლუბია. თან „ბებერ ქალბატონს“ ჯიჯი ბუფონი ჰყავს, მსოფლიოს საუკეთესო მეკარე. იმედია, კლუბი მიმდინარე სეზონში ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებს, რადგან ევროსარბიელზე თამაში ყველა ფეხბურთელს სურს“ — განაცხადა დიეგომ.

ამბობენ, „ვერდერი“ დიეგოს დაახლოებით 30 მილიონ ევროდ შეაფასებს, მაგრამ „იუვეს“ პირველი შეთავაზება მხოლოდ 18-20 მილიონი იქნებაო.

**გიორგი ქაქაბაძე**

# გერმანიამ იბალაკა



**გერმანელი** ვარსკვლავი, „ჩელსის“ ნახევარმცველი მიხაელ ბალაკი თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდში დაბრუნებით ბედნიერია. მოგეხსენებათ, ბოლო ხანს „ბალა“ ჩრდილში იყო. „ჩელსის“ ერთ-ერთმა ყველაზე მაღალხელფასიანმა ფეხბურთელმა 2007 წელი კოჭის ტრავმის გამო მეტწილად მოედნის მიღმა გაატარა, მაგრამ ახლა თავს კარგად გრძნობს და დაკარგულის დაბრუნებას ეშურება.

პრემიერლიგის მიმდინარე ჩემპიონატში მიხაელ ბალაკმა შვიდი თამაში ჩაატარა და ორი გოლი შეაგდო, ოთხშაბათ საღამოს კი გერმანიის მიერ ავსტრიელთა 3:0 ძლევაში დაიდო ლომის წილი.

„ნაკრებში დაბრუნება საუცხოო შეგრძნებას იწვევს — განუცხადა ნახევარმცველმა მატჩის შემდეგ საგენტო ARD-ს — დღეს რამდენიმე შეცდომა დავუშვით. ერთი სიტყვით, არის რაღაც საკითხები, რომელთაც დახვეწა სჭირდება, მაგრამ გამარჯვებამ ყველაფერი გადასწონა“.

ბუნებრივია, ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის მოახლოებასთან ერთად, სანაკრებო ციებ-ცხელება მატულობს, ამ თვალსაზრისით კი მნიშვნელოვანია გერმანელთა თავკაცის იოახიმ ლიოვის ნათქვამი:

„ბედნიერები ვართ, მიხაელ ბალაკი სრულად რომ გამოჯანმრთელდა და საკმაოდ ხანგრძლივი არყოფნის შემდეგ დაგვიბრუნდა. ავსტრიელებთან შეხვედრაში მან გვაჩვენა, თუ რატომ მივიჩნევთ ევროპის მოახლოებულ პირველობაზე ჩვენს ერთ-ერთ უმთავრეს ფიგურად“.

**პაპუნა ძიძია**

| XIX ტური | | |
|---|---|---|
| **გუშინ** | | |
| აინტრახტი | : | არმინია |
| *წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა* | | |
| **დღეს** | | |
| ლევერკუზენი | : | ჰამბურგი |
| შტუტგარტი | : | ჰერტა |
| ბოხუმი | : | კოტბუსი |
| ჰანოვერი | : | კარლსრუე |
| ნიურნბერგი | : | ჰანზა |
| ვოლფსბურგი | : | დუისბურგი |
| **ხვალ** | | |
| ბაიერნი | : | ვერდერი |
| დორტმუნდი | : | შალკე |

# გერმანია
# დიდები დაწყვილდნენ

**ამ უქმეებზე** ბუნდესლიგაში სამი დიდი მატჩია. ხვალ მიუნხენში ერთმანეთს ლიდერები დაეჯახებიან — „ბაიერნი“ „ვერდერს“ უმასპინძლებს, დორტმუნდში რურული დერბია, დღეს კი „ლევერკუზენი“ „ჰამბურგს“ შეხვდება.

